სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

იანვარი №2

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
nazi gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE30BR0000010679562042
mimRebis banki: s.s banki 'respublika~
bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Corespondent acc. No: 00195464
SWIFT: REPL GE 22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-55

instruqcia / **Instuctions** ----------56

gadasaxadebi #2, 2018

GADASAKHADEBI #2, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №1

2018 წლის 5 იანვარი, ქ. თბილისი

საქართველოს მინისტრებისა და სახელმწიფო მინისტრების მიერ მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხების, თანამდებობრივი სარგოებისა და შრომის ანაზღაურების ფონდების საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესრულების მიზნით:

1. დაევალოთ საქართველოს მინისტრებსა და სახელმწიფო მინისტრებს, 2018 წლის 20 იანვრამდე, უზრუნველყონ მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების აპარატების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხების, თანამდებობრივი სარგოებისა და შრომის ანაზღაურების ფონდების საქართველოს მთავრობასთან შეთანხმება, დანართი №1-ის შესაბამისად.

2. საქართველოს სამინისტროებმა და სახელმწიფო მინისტრების აპარატებმა მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების აპარატების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების დამტკიცებული საშტატო ნუსხების, თანამდებობრივი სარგოებისა და შრომის ანაზღაურების ფონდების ცვლილება საქართველოს მთავრობასთან შეათანხმონ იმ შემთხვევაში, თუ იზრდება თანამდებობრივი სარგოს ერთი თვის ფონდი ან/და საშტატო რაოდენობა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. საქართველოს სამინისტროებმა და სახელმწიფო მინისტრების აპარატებმა მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების აპარატების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების დამტკიცებული საშტატო ნუსხების, თანამდებობრივი სარგოებისა და შრომის ანაზღაურების ფონდების ცვლილების მიზნით:

ა) იხელმძღვანელონ ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) საქართველოს მთავრობასთან შესათანხმებელი პროექტის განმარტებით ბარათს თან დაურთონ საშტატო ნუსხების, თანამდებობრივი სარგოებისა და შრომის ანაზღაურების ფონდების შესახებ ინფორმაცია, დანართი №2-ის შესაბამისად.

4. სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ევალებათ საქართველოს მთავრობასთან ან/და საქართველოს პრემიერ-მინისტრთან საშტატო ნუსხების, თანამდებობრივი სარგოებისა და შრომის ანაზღაურების ფონდების შეთანხმება, ასევე იხელმძღვანელონ ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1

ინფორმაცია
საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოს და შრომის ანაზღაურების ფონდის შესახებ

N	შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება[1]	რაოდენობა	მინიჭებული რანგი და იერარქია[2] [3]	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი ერთ ერთეულზე[4]	თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე[5]	სულ თანამდებობრივი სარგო თვეში[6]	სულ თანამდებობრივი სარგო წელიწადში	სულ წლიური შრომის ანაზღაურება
1	2	3	4	5	6	7	8	9
	სულ	0				0	0	0
1								0
2								
3								
4								
5								
-								

[1] საშტატო ნუსხაში მიეთითება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობები, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულთა პოზიციები, სახელმწიფო მოსამსახურეთა პოზიციები, მოხელეთა თანამდებობები და სხვა თანამდებობა/პოზიცია გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების პოზიციებისა, ასევე სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე პირებისთვის გათვალისწინებული თანამდებობები/პოზიციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

[2] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის №1 დანართის №1 ცხრილით განსაზღვრული რანგი და თანამდებობათა იერარქია;

[3] საშტატო ნუსხით განსაზღვრულ იმ თანამდებობებზე/პოზიციებზე, რომლებიც არ მიეკუთვნება მოხელეთა თანამდებობებს არ მიეთითება მინიჭებული რანგი და სანაცვლოდ ეთითება შესაბამისი აღნიშვნა: „სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა“, „ადმინისტრაციული ხელშეკრულება“, „სახელმწიფო მოსამსახურე“, „სამხედრო ან სპეციალური წოდება“ ან „სხვა“;

[4] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის №1 დანართის №1 ცხრილით თანამდებობრივი სარგოებისთვის განსაზღვრული კატეგორიის შესაბამისი კოეფიციენტი;

[5] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის №1 დანართის №1 ცხრილით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი კატეგორიის კოეფიციენტის ნამრავლი წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ საბაზო თანამდებობრივ სარგოზე;

[6] თვეში ერთ ერთეულზე თანამდებობრივი სარგოს ნამრავლი შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რაოდენობაზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №2

ინფორმაცია
საშტატო ნუსხაში, თანამდებობრივ სარგოსა და შრომის ანაზღაურების ფონდში ცვლილების შესახებ

N	შტატით გათვალიწინებული თანამდებობების დასახელება[1]	მოქმედი							პროექტი						
		რაოდენობა	მინიჭებული რანგი და იერარქია[2][3]	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი ერთ ერთეულზე[4]	თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე[5]	სულ თანამდებობრივი სარგო თვეში[6]	სულ თანამდებობრივი სარგო წელიწადში	სულ წლიური შრომის ანაზღაურება	რაოდენობა	მინიჭებული რანგი და იერარქია	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი ერთ ერთეულზე	თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე	სულ თანამდებობრივი სარგო თვეში	სულ თანამდებობრივი სარგო წელიწადში	სულ წლიური შრომის ანაზღაურება
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
	სულ	0				0	0	0	0				0	0	0
1								0							
2															
3															
4															
5															
-															

[1] საშტატო ნუსხაში მიეთითება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობები, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულთა პოზიციები, სახელმწიფო მოსამსახურეთა პოზიციები, მოხელეთა თანამდებობები და სხვა თანამდებობა/პოზიცია გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების პოზიციებისა, ასევე სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე პირებისთვის გათვალისწინებული თანამდებობები/პოზიციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში),

[2] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის №1 დანართის №1 ცხრილით განსაზღვრული რანგი და თანამდებობათა იერარქია;

[3] საშტატო ნუსხით განსაზღვრულ იმ თანამდებობებზე/პოზიციებზე, რომლებიც არ მიეკუთვნება მოხელეთა თანამდებობებს არ მიეთითება მინიჭებული რანგი და სანაცვლოდ ეთითება შესაბამისი აღნიშვნა: „სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა“, „ადმინისტრაციული ხელშეკრულება“, „სახელმწიფო მოსამსახურე“, „სამხედრო ან სპეციალური წოდება“ ან „სხვა“;

[4] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის №1 დანართის №1 ცხრილით თანამდებობრივი სარგოებისთვის განსაზღვრული კატეგორიის შესაბამისი კოეფიციენტი;

[5] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის №1 დანართის №1 ცხრილით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი კატეგორიის კოეფიციენტის ნამრავლი წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ საბაზო თანამდებობრივ სარგოზე;

[6] თვეში ერთ ერთეულზე თანამდებობრივი სარგოს ნამრავლი შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რაოდენობაზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №2

2018 წლის 5 იანვარი, ქ. თბილისი

„ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №726 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №726 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2014, 040030000.10.003.018345) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. №1 და №2 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული დებულებების აღსრულების მიზნით, წლის განმავლობაში მობილიზებული კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლების სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვის მიზნით განსახორციელებელი ცვლილებები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების ფორმა
საჯარო სამართლის იურიდიული პირის დასახელება
ცხრილი №1
20-- **წლის ბიუჯეტი**

ათასი ლარი

დასახელება	**მთლიანი ბიუჯეტი**
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	
შემოსულობები	0.0
შემოსავლები	0.0
მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	
მ.შ. საკუთარი შემოსავლები	
არაფინანსური აქტივების კლება	
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	
ვალდებულებების ზრდა	
გადასახდელები	0.0
ხარჯები	0.0
შრომის ანაზღაურება	
საქონელი და მომსახურება	
პროცენტი	
სუბსიდიები	
გრანტები	
სოციალური უზრუნველყოფა	
სხვა ხარჯები	
არაფინანსური აქტივების ზრდა	
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	
ვალდებულებების კლება	
ნაშთის ცვლილება	0.0
ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის	0.0

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ცხრილი №2

საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმება

№	შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი ერთ ერთეულზე [1]	თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე[2]	სულ თანამდებობრივი სარგო თვეში[3]	სულ თანამდებობ-რივი სარგო წელიწადში	სულ წლიური შრომის ანაზღაურება
	სულ	0			0	0	0
1							0
2							
3							
4							
5							
6							

[1] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის თანამდებობრივი სარგოებისთვის განსაზღვრული კატეგორიის შესაბამისი კოეფიციენტი;

[2] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი კოეფიციენტის ნამრავლი წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ საბაზო თანამდებობრივ სარგოზე;

[3] თვეში ერთ ერთეულზე თანამდებობრივი სარგოს ნამრავლი შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რაოდენობაზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №2

საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების ფორმა
საჯარო სამართლის იურიდიული პირის დასახელება
ცხრილი №1
ბიუჯეტის შეთანხმება

ათასი ლარი

დასახელება	მთლიანი ბიუჯეტი		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	0.0		
შემოსულობები	0.0	0.0	0.0
შემოსავლები	0.0	0.0	0.0
მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	0.0		
მ.შ. საკუთარი შემოსავლები	0.0		
გრანტები	0.0		
სხვა შემოსავლები	0.0		
არაფინანსური აქტივების კლება	0.0		
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0		
ვალდებულებების ზრდა	0.0		
გადასახდელები	0.0	0.0	0.0
ხარჯები	0.0	0.0	0.0
შრომის ანაზღაურება	0.0	0.0	0.0
მ.შ. თანამდებობრივი სარგო	0.0		
მ.შ. დანამატი	0.0		
მ.შ. წოდებრივი სარგო	0.0		
მ.შ. კომპენსაცია	0.0		
მ.შ. პრემია	0.0		
საქონელი და მომსახურება	0.0		
პროცენტი	0.0		
სუბსიდიები	0.0		
გრანტები	0.0		
სოციალური უზრუნველყოფა	0.0		
სხვა ხარჯები	0.0		
მ.შ. კანომდებლობით გათვალისწინებული გადასახადები	0.0		
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0		
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0		
ვალდებულებების კლება	0.0		
ნაშთის ცვლილება	0.0	0.0	0.0
ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის	0.0	0.0	0.0

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ცხრილი №2

საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი

№	შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი ერთ ერთეულზე [1]	თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე[2]	სულ თანამდებობრივი სარგო თვეში[3]	სულ თანამდებობ-რივი სარგო წელიწადში	სულ წლიური შრომის ანაზღაურება
	სულ	0			0	0	0
1							0
2							
3							
4							
5							
6							

[1] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის თანამდებობრივი სარგოებისთვის განსაზღვრული კატეგორიის შესაბამისი კოეფიციენტი;

[2] „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი კოეფიციენტის ნამრავლი წლიური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ საბაზო თანამდებობრივ სარგოზე;

[3] თვეში ერთ ერთეულზე თანამდებობრივი სარგოს ნამრავლი შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რაოდენობაზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №4

2018 წლის 11 იანვარი, ქ. თბილისი

სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლისა და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, დამტკიცდეს თანდართული სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის 2018 წლის პროგრამა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის

2018 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ფარმაცევტული საქმიანობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. მკურნალობის პროცესში გამოყენებული ფარმაცევტული პროდუქტის ხარისხი, ეფექტიანობა და უსაფრთხოება ის მაჩვენებლებია, რომლებიც სხვა, ასევე მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად განსაზღვრავენ მკურნალობის ხარისხს, ხანგრძლივობასა და საბოლოო ჯამში, სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და ამოცანა

1. პროგრამის მიზანია ფარმაცევტული ბაზრის დაცვა ფალსიფიცირებული, წუნდებული, გაუვარგისებული, ვადაგასული და საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე სამკურნალო საშუალებისაგან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. პროგრამის ამოცანაა ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეალიზატორების შერჩევითი კონტროლის განხორციელებისას შესყიდული ნიმუშების, ასევე საქართველოს ბაზარზე ფარმაცევტული პროდუქტის დაშვების უზრუნველსაყოფად სარეგისტრაციო ნიმუშების ხარისხის სტანდარტებსა და სპეციფიკაციის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ანალიზის მეთოდების აღწარმოებულობის დადგენა.

მუხლი 3. პროგრამის ღონისძიებები და განხორციელების მეთოდოლოგია

1. პროგრამის განმახორციელებელია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

ა) ფარმაცევტული პროდუქტის სადისტრიბუციო ჯაჭვის ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელება, რა დროსაც მაკონტროლებელი ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორებისაგან შეისყიდის სამკურნალო საშუალების ნიმუშს და ადგენს შეფუთვა-მარკირების, ვარგისიანობის, საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების, დისტრიბუციის უფლებისა და სხვა, კანონით განსაზღვრული, მოთხოვნების დაცვის მდგომარეობას;

ბ) სადისტრიბუციო ჯაჭვის იმ რგოლში, სადაც ვერ ხერხდება შესყიდვის განხორციელება, სააგენტო აწარმოებს სინჯის აღებას;

გ) ფალსიფიკაციისა და გაუვარგისების მაღალი რისკის კრიტერიუმების არსებობისას, სააგენტო უზრუნველყოფს სადისტრიბუციო რგოლში შესყიდული ნიმუშის/აღებული სინჯის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სარეგისტრაციო ნიმუშის შემდგომ ლაბორატორიულ კვლევას;

დ) სამკურნალო საშუალების ლაბორატორიული კონტროლი, ადგილობრივი ლაბორატორიის პარალელურად, შესაძლებელია ჩატარდეს საზღვარგარეთ, ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და სამკურნალო საშუალებების ხარისხის ევროპის დირექტორატის (EDQM) ოფიციალური სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლის (OMCL) ან/და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული ლაბორატორიის მიერ.

3. სამკურნალო საშუალების ლაბორატორიული კვლევისათვის საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლებისაგან ლაბორატორიული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და სამკურნალო საშუალებების ხარისხის ევროპის დირექტორატის (EDQM) ოფიციალური სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლის (OMCL) ან/და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული საზღვარგარეთ არსებული ლაბორატორიებისგან შესაბამისი მომსახურების შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 4. დაფინანსების წესი და პროგრამის ბიუჯეტი

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (პროგრამული კოდის – 35 01 02 03 ფარგლებში), პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 100 000 (ასი ათასი) ლარით.

სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის პროგრამა	თანხა (ლარებში)
სამკურნალო საშუალებების ნიმუშების შესყიდვა	7 000
მივლინების ხარჯები	10 000
სამკურნალო საშუალების ხარისხის ლაბორატორიული კვლევა	83 000
სულ:	**100 000.**

მუხლი 5. პროგრამის შედეგი

პროგრამა ხელს შეუწყობს ფარმაცევტული ბაზრის დაცვას გაუვარგისებული, უხარისხო და ფალსიფიცირებული ფარმაცევტული პროდუქტისაგან.

მუხლი 6. განხორციელების ვადები

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №12

2018 წლის 15 იანვარი, ქ. თბილისი

შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოს №199 დადგენილებისა და „შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №733 დადგენილების გათვალისწინებით, დამტკიცდეს თანდართული შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამა.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივლისის №341 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია საქართველოში შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარება, სრულყოფა და შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. პროგრამის აქტივობები

პროგრამის აქტივობებია:

ა) შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარება;

ბ) შრომის ბაზრის მოთხოვნის კვლევის ინსტიტუციონალიზაცია;

გ) საჭიროებიდან გამომდინარე, დამატებითი კვლევების ჩატარება;

დ) საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საინფორმაციო ნაკადების იდენტიფიცირება;

ე) სისტემის მომხმარებლებისათვის ანგარიშის მომზადება;

ვ) სისტემაზე საინფორმაციო აქტივობების ორგანიზება.

მუხლი 3. პროგრამის სამიზნე ჯგუფი

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს:

ა) საქართველოს მთავრობა;

ბ) სოციალური პარტნიორები;

გ) საერთაშორისო ორგანიზაციები;

დ) სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები;

ე) სამუშაოს მაძიებლები;

ვ) ბიზნესსუბიექტები;

ზ) საგანმანათლებლო დაწესებულებები;

თ) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსების წყარო

1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 375 000 ლარით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. პროგრამის (მათ შორის, პროგრამის ადმინისტრირების ხარჯების) დაფინანსების წყაროა „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით (პროგრამული კოდი: 24 01 05) გათვალისწინებული ასიგნება– შრომის ბაზრის ანალიზი.

მუხლი 5. პროგრამის შესრულების ინდიკატორები

პროგრამის შესრულების ინდიკატორებია:

ა) სისტემაში გამოქვეყნებული ცვლადები;

ბ) განხორციელებული კვლევა მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით;

გ) კვლევის საფუძველზე მოპოვებული თვისებრივი და რაოდენობრივი ინფორმაცია, იდენტიფიცირებული პრობლემები და მომზადებული რეკომენდაციები;

დ) შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემაში განთავსებული ყოველწლიური ანგარიში;

ე) განხორციელებული ღონისძიებები და ჩატარებული შეხვედრები.

მუხლი 6. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის განმახორციელებელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტი.

2. ამ პროგრამით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №13

2018 წლის 15 იანვარი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №301 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №301 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09/08/2011, 040030000.10.003.016461) შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„დანართი №1

№	მომსახურება	განაცხადის საფასური A (ლარებით)	ძირითადი საფასური B (ლარებით)
1	ლაბორატორიის აკრედიტაცია, p≤30	500	1700
2	ლაბორატორიის აკრედიტაცია, 30<P≤80	500	2100
3	ლაბორატორიის აკრედიტაცია, 80< P≤130	500	2500
4	ლაბორატორიის აკრედიტაცია, 130< P≤180	500	2900
5	ლაბორატორიის აკრედიტაცია, 180< P≤230	500	3300
6	ლაბორატორიის აკრედიტაცია, 230< P≤280	500	3700
7	ლაბორატორიის აკრედიტაცია, P>280	500	4100
8	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი, P≤30	–	1200
9	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი 30<P≤80	–	1400
10	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი P > 80	–	1600
11	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი 80< P≤130	–	1800
12	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი 130< P≤180	–	2200
13	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი 180< P≤230	–	2600
14	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი 230< P≤280	-	3000
15	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი P>280	–	3400
16	ლაბორატორიის აკრედიტაცია დამატებით სფეროში, P ≤ 20	250	600
17	ლაბორატორიის აკრედიტაცია დამატებით სფეროში, P>20	250	800
18	სხვადასხვა ტიპის სერტიფიკაციის ან ინსპექტირების ორგანოს, მათ შორის, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაცია	500	1700 + 100xN

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

19	აკრედიტებული სხვადასხვა ტიპის სერტიფიკაციის ან ინსპექტირების ორგანოს, მათ შორის, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის მონიტორინგი	-	1200 + 100xN
20	სხვადასხვა ტიპის სერტიფიკაციის ან ინსპექტირების ორგანოს, მათ შორის, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაცია დამატებით სფეროში	250	1200 + 100xN
21	დამატებითი უბნის/ფილიალის შეფასება		1200 + 100xN
22	ყოველი დამატებითი (ერთზე მეტის შემთხვევაში) ინსპექტირების ხაზის შეფასება ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრში აკრედიტაციის დროს		1700
23	ყოველი დამატებითი (ერთზე მეტის შემთხვევაში) ინსპექტირების ხაზის შეფასება ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრში მონიტორინგის დროს		1200
24	ყოველი ახალდამატებული ტექნიკური მენეჯერის ან ინსპექტორის კვალიფიკაციის დადასტურება ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრში არაგეგმური მონიტორინგის დროს		1200
25	აკრედიტაციის მოწმობის ასლის გაცემა ინგლისურ ან რუსულ ენაზე		90
26	წინასწარი შეფასება (ტარდება მხოლოდ განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში)	300	800.

შენიშვნა 1: P = 10 x N+M, სადაც P არის ლაბორატორიის აკრედიტაციის სფეროს სიდიდის კოეფიციენტი, 10 არის შესწორების კოეფიციენტი, ხოლო M – შესაფასებელი ტესტირების, საკალიბრებელი ან გაზომვის მეთოდების რაოდენობა.

შენიშვნა 2: დანართი 1-ის თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციისათვის/მონიტორინგისათვის განსაზღვრული საფასურები უნდა გამრავლდეს ქვემოთ მოყვანილ კოეფიციენტებზე საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის ან/და მათი ფილიალებისათვის:

	კოეფიციენტი
თბილისი	5
აჭარა	
ბათუმი	5
ქედა	1
ქობულეთი	2
შუახევი	1
ხელვაჩაური	1
ხულო	1

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გურია	
ლანჩხუთი	2
ოზურგეთი	2
ჩოხატაური	1
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	
ქუთაისი	5
ბაღდათი	2
ვანი	2
ზესტაფონი	3
თერჯოლა	2
სამტრედია	2
საჩხერე	2
ტყიბული	2
წყალტუბო	2
ჭიათურა	2
ხარაგაული	1
ხონი	1
ამბროლაური	1
ლენტეხი	1
ონი	1
ცაგერი	1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	
ზუგდიდი	3
ფოთი	3
აბაშა	1
მარტვილი	1
მესტია	1
სენაკი	2
ჩხოროწყუ	1
წალენჯიხა	1
ხობი	1
კახეთი	
თელავი	2
ახმეტა	1
გურჯაანი	2
დედოფლისწყარო	1

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ლაგოდეხი	2
საგარეჯო	2
სიღნაღი	2
წნორი	2
ყვარელი	2
სამცხე-ჯავახეთი	
ახალციხე	2
ადიგენი	1
ასპინძა	1
ახალქალაქი	2
ბორჯომი	1
ნინოწმინდა	1
მცხეთა-მთიანეთი	
დუშეთი	1
თიანეთი	1
მცხეთა	3
სტეფანწმინდა	1
ქვემო ქართლი	
რუსთავი	5
ბოლნისი	2
გარდაბანი	2
დმანისი	1
თეთრიწყარო	1
მარნეული	3
წალკა	1
შიდა ქართლი	
გორი	3
კასპი	1
ქარელი	1
ხაშური	3.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №15

2018 წლის 16 იანვარი, ქ. თბილისი

„სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 ივნისის №230 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 ივნისის №230 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/06/2011, 040030000.10.003.016390) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №19

2018 წლის 18 იანვარი, ქ. თბილისი

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/02/2013, 470230000.10.003.017200) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **მე-4 მუხლის**:

ა) **„თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„თ) სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სახელმწიფო სტრუქტურების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა (ა(ა)იპ) და იმ საწარმოთა ხელმძღვანელებმა, რომლებშიც სახელმწიფოს საკუთრებაში აქვს 50%-ზე მეტი წილი, 2014 წლის 30 აპრილს და შემდეგ, ყოველთვიურად, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებისა და მათი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა 2016 წლის 15 აპრილს და შემდეგ, ყოველთვიურად, თვის პირველ სამუშაო დღეს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიაწოდონ განახლებული მონაცემები, მიმდინარე თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით, მათ ორგანიზაციებში დასაქმებული იმ პირებისა და მათი ოჯახის წევრების შესახებ (პირადი ნომრების მითითებით), რომლებიც იმავე ორგანიზაციების მიერ არიან დაზღვეულნი საბიუჯეტო სახსრებით, გარდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეული საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში მომუშავე საჯარო მოხელეებისა და მათი ოჯახის წევრებისა, რომელთა სადაზღვევო ხელშეკრულებები მოქმედებს მხოლოდ ადგილსამყოფელ ქვეყნებში და არ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე. საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეულ პირებზე არ ვრცელდება ამ დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“, გარდა დანართ №1.5-ის პირველი პუნქტითა და დანართ №1.7-ით გათვალისწინებული მომსახურებისა, ასევე დანართ №1.6-ის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა. სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო ვალდებულია, ზემოაღნიშნული შეტყობინების მიღების მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან შეწყვიტოს პროგრამული მომსახურების მიწოდების ვალდებულება, გარდა ამავე მუხლის „თ¹“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა;“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სახელმწიფო სტრუქტურების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა (ა(ა)იპ) და იმ საწარმოთა ხელმძღვანელებმა, რომლებშიც ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს/ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში აქვთ/აქვს 50%-ზე მეტი წილი, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 30 აპრილს და შემდეგ, ყოველთვიურად, თვის პირველ სამუშაო დღეს მიაწოდონ განახლებული მონაცემები, მიმდინარე თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით, მათ ორგანიზაციებში დასაქმებული იმ პირებისა და მათი ოჯახის წევრების შესახებ (პირადი ნომრების მითითებით), რომლებიც იმავე ორგანიზაციების მიერ არიან დაზღვეულნი საბიუჯეტო სახსრებით. საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეულ პირებზე არ ვრცელდება ამ დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“, გარდა დანართ №1.5-ის პირველი პუნქტითა და დანართ №1.7-ით გათვალისწინებული მომსახურებისა, ასევე დანართ №1.6-ის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა. სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო ვალდებულია, ზემოაღნიშნული შეტყობინების მიღების მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან შეწყვიტოს პროგრამული მომსახურების მიწოდების ვალდებულება;“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული დანართ №1-ის (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა):**

ა) მე-2 მუხლს 3^4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^5 პუნქტი:

„3^5 .ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართ №1.7-ის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, ამასთან, პროგრამის მიზნებისათვის, საქართველოს მოქალაქეებში იგულისხმებიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში – პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა), პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მოსარგებლეები არიან ამავე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული პირები.“;

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის:

ბ.ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დ) 2018 წლის 1 იანვრიდან თვითმმართველ ქალაქებში – ქ. თბილისში, ქ. ბათუმსა და ქ. ქუთაისში დანართ №1.1-ის „ბ.ა“ ქვეპუნქტით, დანართ №1.3-ის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით, ასევე დანართ №1.4-ის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების (გარდა სამეანო-ნეონატალური და გინეკოლოგიური სერვისისა) მიმწოდებელია პირი, რომელიც ფლობს სტაციონარული დაწესებულების ნებართვასა და სანებართვო დანართებს საქმიანობებში: „რეანიმაციული მომსახურება“ და „გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (EMERGENCY);“;

ბ.ბ) „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) 2018 წლის 15 თებერვლიდან ქ. თბილისში სტაციონარული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც უზრუნველყოფს სტაციონარულ დაწესებულებასა და იმავე ფაქტობრივ მისამართზე განთავსებულ აღნიშნული დაწესებულების ამბულატორიულ-სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული, რეცეპტის გამოწერის უფლებამოსილების მქონე სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის ყველა სუბიექტის მიერ ფორმა №3 რეცეპტის სპეციალური ელექტრონული სისტემით წარმოებას, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.“;

გ) მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიმწოდებელი ვალდებულია, შემთხვევის (განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული კოდირების შესაბამისად) შესახებ შეტყობინება გააკეთოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათისა, განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით. ამასთან, დანართ №1.1-ის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით, დანართ №1.3-ის პირველი პუნქტის „გ.ბ“ და მე-2 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტებითა და დანართ №1.4-ის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, როდესაც სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხორციელდება განმახორციელებლის მიერ გაცემული მატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის/თანხმობის წერილის საფუძველზე, მიმწოდებელი ვალდებულია, დამატებით გააკეთოს შეტყობინება დაგეგმილი ჩარევის შესახებ ჰოსპიტალიზაციამდე/შემთხვევის დაწყებამდე არა უგვიანეს 12 საათით ადრე, განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, თუ სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“;

დ) მე-19 მუხლის მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11^1 პუნქტი:

„11^1. სამედიცინო მომსახურების მიწოდებისას, მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) ფორმა №3 რეცეპტის სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა, რომელიც გამოვლინდება:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) რევიზიის დროს, გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას განმახორციელებლის მიერ სარევიზიო პერიოდში პროგრამის/კომპონენტის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 1%-ით;

ბ) ინდივიდუალური შემთხვევების რევიზიისას, გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას განმახორციელებლის მიერ ამ შემთხვევისათვის პროგრამით ანაზღაურებული თანხის 10%-ით.";

ე) მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„5^1. ქ. თბილისში სტაციონარული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, 2018 წლის 15 თებერვლიდან მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) ფორმა №3 რეცეპტის წარმოება (მ.შ. იმავე ფაქტობრივ მისამართზე განთავსებულ მის ამბულატორიულ-სტრუქტურულ ერთეულებში) უზრუნველყოს მხოლოდ ფორმა №3 რეცეპტის სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.";

ვ) 21-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე" ქვეპუნქტი:

„ე) ამ დადგენილების დანართ №1-ის მე-2 მუხლის 3^5 პუნქტით განსაზღვრული მოსარგებლეებისათვის სამედიცინო მომსახურებას, დანართ №1.7-ის შესაბამისად.";

ზ) 22-ე მუხლის 4^3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^4 პუნქტი:

„4^4. დანართ №1.7-ით გათვალისწინებულ მდგომარეობებთან, ასევე დანართ №1.3-ის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ ინფექციურ მდგომარეობებთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციის ხარჯების ანაზღაურება ხდება დანართ №1.7-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.";

თ) 23-ე მუხლის:

თ.ა) 32^4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„32^4. ამავე მუხლის 38-ე, 41-ე და 47-ე პუნქტებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, მიმწოდებლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, აღნიშნულ დაწესებულებაში დამდგარი პროგრამული მომსახურება, რომელიც დასრულდა ან გრძელდება მიმწოდებლის სტატუსის შეჩერების შემდგომ პერიოდში, დასრულდეს პროგრამის ფარგლებში იმავე დაწესებულებაში, სადაც დაიწყო მომსახურება.";

თ.ბ) 33-ე პუნქტი ამოღებულ იქნეს;

თ.გ) 41-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„41. განმახორციელებელი ვალდებულია, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციების კონტროლის სისტემის ორეტაპიანი მონიტორინგის შემდგომ, კომპეტენტური ორგანოს მიერ ადგილზე ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმებისას გამოვლენილი დანართ №1-ის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის დარღვევის შესახებ დასკვნის გათვალისწინებით, ამავე ორგანოსაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებს დაუყოვნებლივ შეუჩეროს მიმწოდებლის სტატუსი. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციების კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების წესი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ნორმატიული ბრძანებით.“;

თ.დ) 41-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 41[1] პუნქტი:

„41[1]. ამ მუხლის 41-ე პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლისათვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას, თუ სასამართლომ განჩინებით სხვა რამ არ დაადგინა.“;

თ.ე) 46-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 47-ე, 48-ე, 49-ე და 50-ე პუნქტები:

„47. 2018 წლის 1 მარტიდან, თუ მიმწოდებელი დაწესებულება, ყოველი საანგარიშო თვის 25 რიცხვის მდგომარეობით (თუ ემთხვევა არასამუშაო დღე, მომდევნო პირველი სამუშაო დღის მდგომარეობით), არ აკმაყოფილებს დანართ №1-ის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობებს, მას ელექტრონული ფორმით 1 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება გაფრთხილება დანართ №1-ის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობ(ებ)ის დარღვევის თაობაზე. მიმწოდებელი დაწესებულება ვალდებულია, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე (თუ ემთხვევა არასამუშაო დღე, მომდევნო პირველ სამუშაო დღემდე) უზრუნველყოს დარღვევ(ებ)ის გამოსწორება. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებას 1 სამუშაო დღის ვადაში უჩერდება მიმწოდებლის სტატუსი.

48. სტაციონარული სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც ამ მუხლის 47-ე პუნქტის თანახმად შეუჩერდა მიმწოდებლის სტატუსი, უფლებამოსილია, მიმართოს განმახორციელებელს მიმწოდებლის სტატუსის აღდგენის თაობაზე შესაბამისი განცხადებით. განმახორციელებელი ვალდებულია, სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადების მიღებიდან არა უმეტეს 5 სამუშაო დღეში აღუდგინოს მას მიმწოდებლის სტატუსი, დაწესებულების მიერ ამ დადგენილების დანართ №1-ის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობ(ებ)ის შესრულების დადასტურების შემთხვევაში.

49. გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების მიმწოდებელი პირი ვალდებულია, დანართ №1.1-ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ლიმიტის ამოწურვის შემდეგ მომსახურება გააგრძელოს იმ ტარიფებით, რომლითაც პროგრამის ფარგლებში ემსახურება დანართ №1.3-ითა და დანართ №1.4-ით განსაზღვრული მომსახურების ბენეფიციარებს, აღნიშნული პირობა ვრცელდება 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

50. „პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/ნ ბრძანების დანართ №1-ით განსაზღვრული პერინატალური მოვლის დონის შესაბამისი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა გადაუდებელი სტაციონარული (პერინატალური) სამედიცინო მომსახურების ხარჯები საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს ამავე დადგენილების დანართ №1.5-ის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ტარიფებისა.“.

3. **დაემატოს შემდეგი შინაარსის დანართი №**1.7 (**ინფექციური დაავადებების მართვა**):

„დანართი №1.7

ინფექციური დაავადებების მართვა

1. ამ დადგენილების დანართ №1-ის მე-2 მუხლის 3^5 პუნქტით განსაზღვრული მოსარგებლეებისთვის პროგრამა ითვალისწინებს:

ა) №1.7.1 დანართში მოცემული დაავადებების სტაციონარულ მკურნალობას;

ბ) ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მდგომარეობებთან დაკავშირებულ №1.2 დანართის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კრიტიკულ მდგომარეობებს/ინტენსიურ თერაპიას.

2. ამ დანართის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ჯგუფდება კატეგორიებად და ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს ნოზოლოგიური ჯგუფისათვის განსაზღვრული ტარიფისა (დანართი №1.7.1).

3. ამ დანართის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება ითვალისწინებს ასანაზღაურებელი თანხის 20%-ის თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან, გარდა ამ დადგენილების №1 დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლეებისა (საპენსიო ასაკის პირები), რომელთათვისაც თანაგადახდა შეადგენს 10%-ს. თანაგადახდას არ ითვალისწინებს ამავე დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლეებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურება. ასევე „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლეებიდან ნეონატალური ასაკი და ამ ასაკში დაწყებული შემთხვევები და ასაკით პენსიონერი ვეტერანისა და მკვეთრად გამოხატული შშმ ვეტერანისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურება;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება არ ითვალისწინებს თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან და ფინანსდება დანართ №1.1-ში, დანართ №1.3-სა და დანართ №1.4-ში მითითებული ლიმიტების შესაბამისად. ამასთან, აღნიშნულ მომსახურებაზე ვრცელდება ამავე დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის 22-ე მუხლის 7^1 პუნქტის პირობები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1.7.1

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება და შემთხვევის ღირებულებები

	ნოზოლოგია	ICD კოდი	ტარიფი (ლარი)
1	**ინფექციური**		
1.1	ბაქტერიული მენინგიტი	A27.8; A32.1; A39.0; A39.2; A39.4; A39.9; B45.1; G00.	2300
1.2	ბაქტერიული მენინგოენცეფალიტი	A02.2; A27.8; A32.1; A39; G04.2	3200
1.3	ვირუსული მენინგიტი	A87; B00.3; B01.0; B02.1; B05.1; B26.1	750
1.4	ვირუსული მენინგოენცეფალიტი	A80; A83; A84; A85; A86; A87.2; B00.4; B01.1; B02.0; B05.0; B06.0; B26.2; G05.1*	3000
1.5	ანთებითი პოლინეიროპათიები	A36.8; B02.2; B26.8; G61; G63.0	3800
1.6	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი	B15.9; B16.1; B16.9; B17	1500
1.7	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი – პათოლოგიური პროცესის მაღალი აქტივობით (სპეცმედიკამენტების გარეშე)	B18.0; B18.1; B18.2; B18.9	850
1.8	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ციროზით (მყარი ვირუსული პასუხის- svr მიუხედავად) სპეცმედიკამენტების გარეშე	B18.0; B18.1; B18.2; B18.9	1200
1.9	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ციროზით, ასციტით და/ან ენცეფალოპათიით და/ან ჰეპატორენული სინდრომით (მყარი ვირუსული პასუხის – svr მიუხედავად) სპეცმედიკამენტების გარეშე	B18.0; B18.1; B18.2; B18.9	3000
1.10	ბოტულიზმი	A05.1	1400
1.11	სხვა საკვებისმიერი ინტოქსიკაციები	A05.0; A05.2; A05.3; A05.4; A05.8; A05.9	250
1.12	ნაწლავთა ინფექციები მიმდინარე ჰემოკოლიტით	A02.0; A03; A04.2; A04.3; A04.4; A04.5; A04.6; A04.7; A06.0; A06.2; A07.0; A09	800
1.13	სხვა ნაწლავთა ინფექციები	A00; A01; A02; A03; A04; A06.0; A06.1; A06.2; A06.9; A07; A08; A09;	380
1.14	სხვა ბაქტერიული ინფექციები	A06.4; B01.8; A20; A21; A22; A24; A25; A26; A27; A28; A32; A35; A36; A37; A38; A46; A48.1; A48.2; A49; A68; A69; A70-A74; A75-A79; B05.2; J03; L02;	880
1.15	ბაქტერიული პნევმონია	J11.0; J10.0; J13-J18	790
1.16	ჰემორაგიული ცხელებები	A91; A98; A99	1400
1.17	ჰერპესვირუსული ინფექციები	B00; B01.2; B01.8; B01.9; B02; B25; B27	1100
1.18	სხვა ვირუსული ინფექციები	A82; B05.2; B05.9; B06; B08; B09; B26; B34; J05.0; J05.1; J06; J10; J11; J12;	550
1.19	დაუზუსტებელი ცხელება – ჰიპერპირექსია, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული	R50; R50.9	1200
2	**სეფსისი**	A40; A41; A49.8; A49.9; A22.7; A24.1; A26.7; A28.2; A32.7; A54.8; B00.7; B37.6; B37.7; I33; I39.8; T80.2; T81.4; T88.0; A39.1	3420
3	**პარაზიტოლოგია**	A06; A07; A23; B50-დან B55-ის ჩათვლით; B65-დან B67-ის ჩათვლით; B75	1200

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. ამასთან, ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი, მე-2 პუნქტის „ა“, „ბ.ა“, „გ“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები და მე-3 პუნქტი გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №18

2018 წლის 17 იანვარი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანების (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871)

1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილისა და 184 მუხლის პირველი პუქტის და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №168 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,“.

2. დანართი №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ბიუჯეტის განმკარგველის – 351 – ა(ა)იპ „სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ 2“-ს შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველი:

352	0964	სსიპ – „წიაღის ეროვნული სააგენტო“

3. დანართ №3-ში ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის – 7334 – „ა(ა)იპ – „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის მიერ გაწეული მომსახურების საფასური“ – შემდეგ დაემატოს ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი შემდეგი კოდი:

8900	სსიპ – „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ ავანსად მიღებული მომსახურების საფასური“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №19

2018 წლის 17 იანვარი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 მაისის №177 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 მაისის №177 ბრძანებაში (ვებგვერდი, 01/06/2017, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016979) შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 მუხლი:

„მუხლი 3. **ამ ბრძანების მოქმედება შეჩერდეს** 2018 **წლის** 1 **ივლისამდე.**“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთნავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 2 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №20

2018 წლის 17 იანვარი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 აპრილის №112 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 აპრილის №112 ბრძანების (ვებგვერდი, 19.04.2012 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190040000.22.033.016347):

1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" მე-7 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-15 მუხლის პირველი პუნქტის და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №168 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად,".

2. დანართი №1 („წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ") ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დანართი №1

წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი[1]

განმახორციელებელი ----------

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
	პროგრამა					
	ქვეპროგრამა					
	ქვეპროგრამა					

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

---

[1] ივსება იმდენ პროგრამაზე, რამდენ პროგრამასაც მოიცავს მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტი წლიური ბიუჯეტის კანონით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დაგეგმილი საბოლოო შედეგები[2]

მიღწეული საბოლოო შედეგები[3]

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები[4]

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი[5]

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი[6]

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

---

2 პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საბოლოო შედეგები შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ მოსალოდნელ საბოლოო შედეგებს.

3 ივსება დაგეგმილი საბოლოო შედეგების ფაქტობრივი შესრულება საანგარიშო პერიოდისთვის, ხოლო თუ დაგეგმილი საბოლოო შედეგი მიიღწევა საანგარიშო პერიოდის შემდგომ, ივსება დაგეგმილი საბოლოო შედეგის პროგრესი საანგარიშო პერიოდისთვის.

4 ივსება იმ რაოდენობაზე, რაც წარმოდგენილია წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრაშედეგების შეფასების ინდიკატორების ნაწილში დამატებით ინფორმაციის მითითების აუცილებლობის შემთხვევაში, აღნიშნული უნდა მიეთითოს ცალკე დაგეგმილი საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლის გარეშე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5 დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში საბაზისო მაჩვენებელს.

6 დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში მიზნობრივ მაჩვენებელს.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე[7]

1.1.1 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი[8]

განმახორციელებელი ----------

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

დაგეგმილი შუალედური შედეგები[9]

მიღწეული შუალედური შედეგები[10]

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები[11]

---

7 ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში„

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

8 ივსება იმდენ ქვეპროგრამაზე, რამდენ ქვეპროგრამასაც მოიცავს თითოეული პროგრამა წლიური ბიუჯეტის კანონით.

9 ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შუალედური შედეგები შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ მოსალოდნელ შუალედურ შედეგს.

10 ივსება დაგეგმილი შუალედური შედეგების ფაქტობრივი შესრულება საანგარიშო პერიოდისთვის.

11 ივსება იმ რაოდენობაზე, რაც წარმოდგენილია წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში. მიღწეული შედეგების საბოლოო შეფასების ინდიკატორების ნაწილში დამატებით ინფორმაციის მითითების აუცილებლობის შემთხვევაში, აღნიშნული უნდა მიეთითოს ცალკე, დაგეგმილი საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლის გარეშე.

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი[12]

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი[13]

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე[14]

შენიშვნა:

- იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შესრულება წარმოადგენს საერთაშორისო ვალდებულების შესრულების ნაწილს, ან/და შესაბამის სფეროში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, მათ შორის, შესაბამისი სექტორული ან სხვა სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების ნაწილს, მნიშვნელოვანია, რომ შესრულებაში მიეთითოს აღნიშნული ინფორმაცია, შესაძლებელია ეს ინფორმაცია შინაარსის მიხედვით მიეთითოს როგორც განხორციელებული ღონისძიებების აღწერის ნაწილში, ისე მიღწეული შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების ნაწილში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

- შესრულების ანგარიშში უნდა მიეთითოს პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შესაბამისობა გაეროს მდგრადი განვითარების (SDG) მიზნებთან - 2030, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ფინანსური (ეკონომიკური) სამსახურის უფროსი“.

---

12 დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში საბაზისო მაჩვენებელს.

13 დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი ქვპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორების ნაწილში მიზნობრივ მაჩვენებელს.

14 ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №22

2018 წლის 18 იანვარი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანების (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დანართ N3-ში ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი – 8900 – „სსიპ – „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ ავანსად მიღებული მომსახურების საფასური“ – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7335	სსიპ – „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ ავანსად მიღებული მომსახურების საფასური“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 18 იანვრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

დადგენილება №1

2018 წლის 4 იანვარი, ქ. თბილისი

„სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2009 წლის 22 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 27-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო, ადგენს:

მუხლი 1

საქართველოს ეროვნული ბანკის 2009 წლის 22 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული „სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესის“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სავაჭრო სისტემაში გასაანგარიშებელ პერიოდში დადებულ ბანკთაშორის იმ გარიგებათა ჯამური ბრუნვა, რომლებიც ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით მონაწილეობას იღებს ოფიციალური კურსის გაანგარიშებაში 1.5 მლნ (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარზე ნაკლებია.“.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედების დღეს ძალაშია ამ დადგენილების ამოქმედებამდე არსებული „სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2009 წლის 22 მაისის №6 დადგენილებით განსაზღვრული იმ დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსები.

მუხლი 3

ამ დადგენილების დაუყოვნებლივ ამოქმედება განპირობებულია საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკის ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლ ის 5 იანვრიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე–პრეზიდენტი

(მოვალეობის შემსრულებელი) არჩილ მესტვირიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №02/ნ

2018 წლის 24 იანვარი, ქ. თბილისი

„საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 28/09/2015, სარეგისტრაციო კოდი: 270090000.22.022.017033) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) წამყვანი მასწავლებლისათვის განისაზღვრება 700 ლარით;

გ) მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლისათვის განისაზღვრება 1000 ლარით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 თებერვლიდან.

განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ქეთევან ნატრიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-3/ნ

2018 წლის 10 იანვარი, ქ. თბილისი

„დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებაში (სსმ III, 20.02.2009 წ., №20, მუხ. 254) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი) მე-6 მუხლის:

1. 8^4 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„8^4. საჯარო სკოლების მასწავლებლისთვის დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების საერთო თანხა განისაზღვრება შეჯამებულად საავადმყოფო ფურცელში მითითებულ თვეში (ყოველ თვეზე ცალ-ცალკე) საშუალო დღიური თანამდებობრივი სარგოსა და დანამატების გამრავლებით მოცემულ თვეში შრომისუუნარობის გამო გაცდენილ სამუშაო დღეთა რიცხვზე.“.

2. 9^3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9^3. ამ მუხლის 8^4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დღიური თანამდებობრივი სარგოსა და დანამატების გამოთვლა ხდება თვიური შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატები) გაყოფით შრომისუუნარობის თვის (ყოველ თვეზე ცალ-ცალკე) სამუშაო დღეთა რიცხვზე.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №03/ნ

2018 წლის 25 იანვარი, ქ. თბილისი

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების (სსმ, №163, 14/12/2010, სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.016036) მე-4 პუნქტით დამტკიცებული „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალის“ (დანართი №4):

1. 040171 **პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის პროფესიული სპეციალიზაციები**:

„040172 – პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი

040173 – კომპიუტერული ქსელი და სისტემები

040174 – კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“.

2. 040253 **პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის პროფესიული სპეციალიზაცია**:

„040254 – ტელეკომუნიკაცია“.

3. 040685 **პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის პროფესიული სპეციალიზაციები**:

„040686 – აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება

040687 – სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა

040688 – კედლის დაფარვის სამუშაოები

040689 – იატაკის და ფილის სამუშაოები

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

040690 – საგზაო მშენებლობა“.

4. 040861 **პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის პროფესიული სპეციალიზაცია**:

„040862 – ლითონის დამუშავება“.

5. 040964 **პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის პროფესიული სპეციალიზაცია**:

„040965 – ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება”.

6. 070355 **პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის პროფესიული სპეციალიზაციები**:

„070356 – რეპორტიორობა

070357 – ტელე-რადიოწამყვანობა“.

7. 080159 **პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის პროფესიული სპეციალიზაციები**:

„080160 – ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები

080161 – ტელერეჟისურა

080162 – ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება

080163 – ვიდეომონტაჟი

080164 – ტელეეთერის დიზაინი

080165 – ციფრული ხელოვნება

080166 – ანიმაციის შესრულება“.

8. 080386 **პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის პროფესიული სპეციალიზაციები**:

„080387 – განათების დიზაინი

080388 – კერამიკული ნაკეთობის დამზადება

080389 – საიუველირო საქმე

080390 – საიუველირო და სანახელავო ქვების დამუშავება

080391 – მომინანქრება

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

080392 – ფლორისტიკა

080393 – ხის მხატვრული დამუშავება

080394 – ქვის მხატვრული დამუშავება

080395 – ლითონის მხატვრული დამუშავება“.

9. 090251 **პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის პროფესიული სპეციალიზაცია:**

„090252 – კბილის სატექნიკო საქმე“.

10. 111053 **პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის პროფესიული სპეციალიზაციები:**

„111054 – საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია

111055 – გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“.

11. 112069 **პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის პროფესიული სპეციალიზაცია:**

„112070 – სათავგადასავლო ტურიზმი“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/19

2018 წლის 24 იანვარი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის №1–1/330 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის №1–1/330 ბრძანებით (სსმ III, 17.03.2010 წ., №მუხ.431) დამტკიცებული დებულების დანართი №1-ში („ტექნიკური რეგლამენტის – „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. **მე-2 მუხლის**:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) 2017 წლის 11 დეკემბრისთვის მოქმედი აკრედიტაციის მქონე ტექნიკური ინსპექტირების ცენტრები (არსებული ხაზების გაფართოების მიზნით) ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა ფიზიკური/იურიდიული პირები (შემდგომში – არსებული ცენტრები), რომლებსაც, უშუალოდ, ან აფილირებული პირების მეშვეობით:

ა.ა) შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული აღჭურვილობის შეძენის მიზნით 2017 წლის 11 დეკემბრამდე განხორციელებული აქვთ შესაბამისი ანგარიშსწორება სათანადო აღჭურვილობის ღირებულების სულ მცირე 10%-ის ოდენობით;

ა.ბ) 2017 წლის 11 დეკემბრამდე მოპოვებული აქვთ საკუთრების ან სარგებლობის უფლება შესაბამის შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე, ან მიღებული აქვთ ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის მშენებლობის ნებართვა ან უფლებამოსილ ორგანოში წარდგენილი აქვს განაცხადი აღნიშნული ნებართვის მოპოვების მიზნით; და

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.გ) არაუგვიანეს 2018 წლის 5 თებერვლისა, სამინისტროში წარდგენილი აქვთ ამ დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრული დამატებითი დოკუმენტაცია.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. ამ დებულების მიზნებისთვის აფილირებული პირი გულისხმობს პირს, რომელშიც იურიდიული პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს 50% ან მეტ აქციებს, ხმების უმრავლესობას, ან სხვაგვარად შეუძლია პირის მართვის პოლიტიკის განსაზღვრა, ან რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იურიდიული პირის 50% ან მეტ აქციებს, ხმების უმრავლესობას, ან სხვაგვარად შეუძლია პირის მართვის პოლიტიკის განსაზღვრა;

4. ამ დებულების მოქმედება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 11 დეკემბრამდე ნებისმიერ პერიოდში გააჩნდათ ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის მოქმედი აკრედიტაცია (გარდა არსებული ხაზების გაფართოების მიზნით აკრედიტაციის მოპოვების შემთხვევისა). აღნიშნულ პირებზე გავრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის ტექნიკური რეგლამენტებით, შესაბამისი აკრედიტაციის მოპოვებისთვის დადგენილი მოთხოვნები;“.

2. **მე-3 მუხლის**:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ამ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად გაცემული უპირობო და გამოუხმობი საბანკო/სადაზღვევო გარანტია, თითოეული ხაზისთვის 100,000 ლარის ოდენობით;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაინტერესებული პირების მიერ შესაბამის განაცხადთა სამინისტროში წარდგენის ვადაა 2018 წლის 15 თებერვლიდან 2018 წლის 9 მარტის ჩათვლით (18.00 სთ.).“.

3. **მე-4 მუხლის**:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. არსებული ცენტრების მიერ აკრედიტაციის მისაღებად, ამ დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად, წარმოდგენილი უნდა იქნეს ამ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად გაცემული უპირობო და გამოუხმობი საბანკო/სადაზღვევო გარანტია, თითოეული ხაზისთვის 100,000 ლარის ოდენობით.

2. არსებული ცენტრების მიერ ამ მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს 2018 წლის 5 თებერვლისა (18.00 სთ.).“.

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„6. არსებულ ცენტრებზე, ამ მუხლის გარდა, ასევე ვრცელდება ამ დებულების მე-5 მუხლით (საბანკო/სადაზღვევო გარანტიის ნაწილში) და მე-7-მე-10 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.“.

4. **მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 5. უპირობო და გამოუხმობი საბანკო/სადაზღვევო გარანტია და ხელშეკრულების ხელმოწერის საფასური

1. ამ დებულებით გათვალისწინებული უპირობო და გამოუხმობი საბანკო/სადაზღვევო გარანტია (შემდგომში – გარანტია) გაცემული უნდა იყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში ლიცენზირებული ბანკის ან მზღვეველის მიერ.

2. გარანტიის ოდენობა უზრუნველყოფს:

ა) შერჩევის პროცესში გამარჯვებული პირის/არსებული ცენტრის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას და შესაბამისი აკრედიტაციის მიღებას, მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი პირობების შესაბამისად; და ბ) დაინტერესებული პირების შემთხვევაში, აგრეთვე, შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურის გადახდას ამ დებულებით განსაზღვრულ ვადაში.

3. არსებული ცენტრებისათვის გარანტია ძალაში უნდა იყოს ინსპექტირების ცენტრის მიერ შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრული აკრედიტაციის მიღებისთვის დადგენილი ვადიდან სულ მცირე ერთი თვის გასვლამდე, ხოლო დაინტერესებული პირების შემთხვევაში, ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურის სრულად გადახდისა და აკრედიტაციის მიღებისთვის განსაზღვრული ვადიდან სულ მცირე ერთი თვის გასვლამდე.

4. გარანტიის მოქმედება წყდება შერჩევის პროცესში გამარჯვებული პირის/არსებული ცენტრის მიერ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში აკრედიტაციის მიღებისა და დაინტერესებული პირების შემთხვევაში, ასევე ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურის სრულად გადახდის შემდეგ; გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნებზე სამინისტრო უარს აცხადებს ამავე პირების მიერ შესაბამისი ვალდებულებების სრულად შესრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. ხელშეკრულების ხელმოწერის საფასური დაინტერესებული პირის მიერ გადახდილი უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, სამინისტროს მიერ მითითებულ ანგარიშზე. გადახდილი საფასური უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარანტია ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.“.

5. **მე-6 მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„15. შესარჩევ პროცესში გამარჯვებული პირ(ებ)ის გარდა სხვა პირებს სამინისტრო უბრუნებს (უარს ამბობს) მათ მიერ წარმოდგენილ გარანტიებს.“.

6. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. გამარჯვებული პირის/არსებული ცენტრის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესაძლებელია აგრეთვე შესრულდეს მესამე პირის მეშვეობით. მესამე პირის მეშვეობით შესრულებულ ვალდებულებებზე სამინისტროს წინაშე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება გამარჯვებულ პირს/არსებულ ცენტრს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 24 იანვრიდან.

საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №25

2018 წლის 24 იანვარი, ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის №219 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის №219 ბრძანებაში (ვებგვერდი, 03/07/2017, სარეგისტრაციო კოდი 010320040.22.033.016991) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„4. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი:

ა) უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება ან უმაღლესი განათლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;

ბ) სპეციალობით ან საგადასახადო დავების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილებას);

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს საგადასახადო კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 დეკემბრის №473 დადგენილების „დავის განმხილველი ორგანოების რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook) ცოდნა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 25 იანვრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №24

2018 წლის 24 იანვარი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 21-ე **მუხლის** მე-7 **პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ბ) თუ მის მიერ შემოტანილი საქონლის რაოდენობა ან/და ღირებულება აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ა“, „დ.ბ“, „დ.გ“, „დ.გ[1]“, „დ.ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებას, ან თუ საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონელი იბეგრება/არ არის გათავისუფლებული იმპორტის გადასახდელებისაგან, ან/და საქონლის შემოტანა შეზღუდულია ან/და საქონლის შემოტანისათვის საჭიროა ნებართვა ან ლიცენზია;“.

2. 45-ე **მუხლის** მე-2 **პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა.ა) ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმისა, რომლებიც შემოტანილია ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.გ“ და „დ.გ[1]“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი ოდენობით ან გადაადგილდება საფოსტო გზავნილით, რომლის მიმღებსაც წარმოადგენს ფიზიკური პირი;“.

3. **ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის** (**დანართი №XI**-01) **„მნიშვნელოვანი ინფორმაციის“**:

ა) მე-3 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. იმპორტისას გადასახდელებისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 02, 04, 06–12, 15–21 ჯგუფებისა და 0302-0307, 2201-2202 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 500-ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის კვების პროდუქტების იმპორტი (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ბ) 30 კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფებით (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული საქონლის (ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისათვის განკუთვნილი სითხეები) გარდა) გათვალისწინებული 500-ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი არ არის;

გ) მგზავრის მიერ 200 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდით (თამბაქოს ნაწარმი, წვის პროცესის გარეშე, ორთქლის მისაღებად გამოსაყენებელი) გათვალისწინებული 200 ღერი თამბაქოს ნაწარმის ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდით (კაფსულები და მსგავსი სახის პროდუქტები, თამბაქოს შემცველობით) გათვალისწინებული 10 ცალი კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული (ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისათვის განკუთვნილი სითხეები) 50 მლ საქონლის იმპორტი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი (ამ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის უფლება ფიზიკურ პირს წარმოეშობა 18 წლის ასაკიდან);

დ) მგზავრის მიერ ჯამურად 1 ლიტრი 22% და 22%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის ან 80% და 80%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის არადენატურირებული ეთილის სპირტის ან 2 ლიტრი 22%-ზე ნაკლები ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან 4 ლიტრი ღვინის და 16 ლიტრი ლუდის იმპორტი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი (ამ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის უფლება ფიზიკურ პირს წარმოეშობა 18 წლის ასაკიდან);

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28–97 ჯგუფების შესაბამისი 3000-ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.“;

ბ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „შენიშვნა“:

„შენიშვნა: „მნიშვნელოვანი ინფორმაციის“ მე-3 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საგადასახადო შეღავათის მიზნებისათვის ჩაითვლება, რომ საქონელი ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი, თუ მისი იმპორტი ერთჯერადია და იგი განკუთვნილია მგზავრის პირადი ან მისი ოჯახის წევრების მიერ მოხმარებისთვის ან/და ჩუქებისთვის. ამასთანავე, საქონლის იმპორტი ერთჯერადია, თუ ადგილი აქვს საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში 1 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში ამ საქონლის იმპორტის არაუმეტეს 1 შემთხვევას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №17

2018 წლის 17 იანვარი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112; 3.01.2011წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ინსტრუქციის 49-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 49^1 მუხლი:

„მუხლი 49^1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის ელექტრონულად გაწეული მომსახურება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის, ელექტრონულად გაწეულ მომსახურებას ასევე განეკუთვნება ელექტრონული გზით გაწეული მომსახურება, თუ სახეზეა ყველა შემდეგი პირობა:

ა) მომსახურების გაწევა ხდება ინტერნეტით ან ელექტრონული ქსელით;

ბ) მომსახურების გაწევა ძირითადად ავტომატურად ხდება და ადამიანის მინიმალურ ჩარევას გულისხმობს;

გ) მომსახურების გაწევა შეუძლებელია ინფორმაციული ტექნოლოგიის გარეშე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ
გადასახადები

მეწარმეების, საშაღასახაღო ინსპექტორების, აუდიტორების, ბულალტრებისა და ყველა მაღამხღელის უნივერსალური საშამიღო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს ბიზნეს ინტელექტი
მიმღების IBAN ანგარიშის №:
GE21BR0000010893437601

მიმღების მანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com